

განახლებადი ენერგორესურსები - სტატისტიკა, კანონმდებლობა, პოლიტიკა

განახლებადი ენერგორესურსები უსაფრთხო ენერგომომარაგების გაუმჯობესების მნიშვნელოვან გარანტიებს იძლევა და ამცირებს ფასების ცვალებადობას. ენერჯის ეს წყარო ასევე ამცირებს ჰაერის დაბინძურებას და გამოყენებული ბუნებრივი აირის რაოდენობას. გარდა ამისა, ხელს უწყობს განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას სოფლად და პერიფერიებში, ისევე როგორც უზრუნველყოფს განვითარებად ქვეყნებში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ყველა ზემოთაღნიშნულ ფაქტორთა მთლიანი ეფექტი განაპირობებს განახლებადი ენერგო რესურსების ათვისება-გამოყენებასთან დაკავშირებული პროექტების მხარდაჭერის საფუძველს, რაც გამოხატულია კიდევ ამ მიმართულებით განვითარებული ქვეყნების მიერ წარმოებულ პოლიტიკაში.


წარმოგიდგინოთ ინფორმაციას ევროკავშირის ქვეყნებში განახლებადი ენერგორესურსებიდან გამომუშავებული ენერჯის და წარმოებული პოლიტიკის თაობაზე, აგრეთვე გერმანიის საკანონმდებლო რეგულირებასა და დიდი ბრიტანეთის სამომავლო გეგმების თაობაზე.

ევროკავშირი

ევროკავშირი მიზნად ისახავს, რომ 2010 წლისათვის 25 წევრი სახელმწიფოს მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის 21 პროცენტი განახლებად ენერგორესურსებზე მოდიოდეს. ეს ყველაფერი დეკლარირებულია განახლებადი ენერგორესურსების შესახებ 2001 წლის 2001/77/EC ევროდირექტივაში, რომელმაც დაადგინა ინდივიდუალური ეროვნული მიზნები თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის.

თუ მოვიშველიებთ სტატისტიკას, 2003 წელს ევროკავშირის 25 ქვეყანაში განახლებადი ენერგო რესურსებიდან გამომუშავებული იქნა 394 მილიარდი ვატი საათში ელექტროენერჯია, რამაც პროცენტულად მთლიანი გამომუშავებული ელექტროენერჯის 14 პროცენტი შეადგინა. ეს ყველაფერი მოცემულია დიაგრამა 1-ზე.

დიაგრამა 1.




მართალია ჰიდრო რესურსები ელექტროენერჯის ძირითად წყაროს შეადგენენ, მაგრამ, ამასთანავე უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირში არა ჰიდრო რესურსებიდან მიღებული ელექტროენერჯის მოცულობა. ძირითადად ეს შეეხება ქარის ენერჯიას, ბიომასას, გეოთერმულ და ფოტოგალვანურ მზის ენერჯიას. მაგალითად, უკანასკნელ წლებში ევროკავშირის 15 ძველ წევრ სახელმწიფოში ქარის ენერჯია 35%-იანი ზრდის მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო რამდენიმე ახალ წევრ სახელმწიფოში ბიომასა ენერჯიის მნიშვნელოვანი წყაროდ გვევლინება.

ქვემოთ მოცემულია 2004 წელს ევროკავშირის 15 ძველ წევრ სახელმწიფოში განახლებადი ენერჯო რესურსების მოცულობის სტრუქტურა ენერჯო წყაროების მიხედვით.

დიაგრამა 2

ვეროკავშირის 15 წევრ ძველ სახელმწიფოში ძირითადი განახლებადი ენერგო რესურსებიდან მიღებული ენერგია



ცხრილი №1. განახლებადი ელექტროენერჯის პოლიტიკა ევროკავშირის 15 ქვეყანაში

	ელექტროენერჯის მხარდაჭერის სქემები
ავსტრია	მიწოდების ტარიფები და რეგიონული ინვესტირების წახალისება
ბელგია	სავალდებულო კვოტირების სისტემა/TGC ¹ და მინიმალური ფასები განახლებადი ენერჯოწარმოებიდან მიღებულ ენერჯიაზე
დანია	შეღავათიანი ტარიფები და სატენდერო სქემები ქარის ენერჯიაზე
ფინეთი	ელექტროენერჯის გადასახადისაგან განთავისუფლება და ინვესტიციების წახალისება
საფრანგეთი	მიწოდების ტარიფები
გერმანია	მიწოდების ტარიფები
საბერძნეთი	მიწოდების ტარიფები და ინვესტირების წახალისება
ირლანდია	სატენდერო სქემა გამოცხადდა, რომ სატენდერო სქემა ჩანაცვლებული იქნება სატარიფო სქემით
იტალია	სავალდებულო კვოტირების სისტემა/TGC
ლუქსემბურგი	მიწოდების ტარიფები
ნიდერლანდები	მიწოდების ტარიფები
პორტუგალია	მიწოდების ტარიფები და ინვესტირების წახალისება
ესპანეთი	მიწოდების ტარიფები
შვედეთი	სავალდებულო კვოტირების სისტემა/TGC
დიდი ბრიტანეთი	სავალდებულო კვოტირების სისტემა/TGC

¹ TGC= მწვანე სავაჭრო სერთიფიკატი, რაც აჩვენებს კარბონის შემცველობის ზედა ზღვარს

ცხრილი №2. განახლებადი ელექტროენერჯის პოლიტიკა ევროკავშირის ახალ 10 წევრ ქვეყანაში

	ელექტროენერჯის მხარდაჭერის მთავარი სქემები
კვიპროსი	ელექტროენერჯის მოხმარების გადასახადით დაფინანსებული საგრანტო სქემა (2004 წლის თებერვლიდან), რომელიც ხელს უწყობს განახლებადი ენერჯორესურსების განვითარებას
ჩეხეთი	მიწოდების ტარიფები
ესტონეთი	მიწოდების ტარიფები სავალდებულო შესყიდვასთან ერთად
უნგრეთი	მიწოდების ტარიფები (2002 წლიდან) სავალდებულო შესყიდვით და საგრანტო ტენდერებით
ლატვია	სავალდებულო კვოტირების სისტემა (2002 წლიდან) კომბინირებული მიწოდების ტარიფებთან
ლიტვა	მიწოდების შეღარებით მაღალი ტარიფები შესყიდვის ვალდებულებასთან ერთად. შეღავათიანი პირობები საინვესტიციო პროგრამებისთვის
მალტა	დაბალი დღე შზის ენერჯის გამოყენებაზე
პოლონეთი	2010 წლამდე <i>ძწვანე ენერჯის</i> შესყიდვის ვალდებულება. დამატებით, განახლებადი ენერჯის განთავისუფლება აქციზისგან
სლოვაკეთი	განახლებადი ენერჯორესურსების მხარდაჭერის პროგრამები, მათ შორის მიწოდების ტარიფები და საგადასახადო შეღავათები
სლოვენია	მიწოდების სისტემები კომბინირებული გრძელვადიან გარანტირებულ კონტრაქტებთან
ბულგარეთი	მიწოდების ტარიფები, საგადასახადო შეღავათები და შესყიდვის ვალდებულება
რუმინეთი	მიწოდების ტარიფები და სუბსიდირება (2000 წლიდან)

გერმანია

გერმანიაში განახლებადი ენერჯის გამოყენება რეგულირდება 2004 წლის საკანონმდებლო აქტით, რომელიც მიზნად ისახავს ენერჯო მიწოდების მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, ქვეყნის კლიმატის და გარემოს დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ელექტროენერჯის ღირებულების შემცირებას და განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის ტექნოლოგიური გამოყენების განვითარების ხელშეწყობას.

ელექტროენერჯით მომარაგებაში ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს 2010 წლისათვის გერმანიის მთლიან ენერჯომომარაგებაში განახლებადი ენერჯის ხვედრითი წილის 12.5 პროცენტამდე, ხოლო 2020 წლისათვის 20 პროცენტამდე გაზრდა.

კანონის შესაბამისად, განახლებადი ენერჯის წყარო შეიძლება იყოს ჰიდროენერჯია, მათ შორის ზღის ტალღების ენერჯია, ზღვის მიქცევა-მოქცევისაგან და წყლის დინებისაგან მიღებული ენერჯია, ასევე ქარის ენერჯია, მზის ენერჯია, ბიომასა, მათ შორის ბიოგაზი და ბიონარჩენები, გეოთერმული ენერჯია, ორგანული გაზის ნარჩენები, მუნიციპალური და სამრეწველო ნარჩენები.

კანონი არეგულირებს გაერთიანებულ ენერჯოსისტემასთან ენერჯის იმ მიმწოდებლების კავშირს, რომლებიც ელექტროენერჯიას აწარმოებენ განახლებადი ენერჯო წყაროებიდან. აგრეთვე, გაერთიანებული ენერჯოსისტემასთან ოპერატორების მიერ ელექტროენერჯის უპირატესი შესყიდვის, გადაცემისა და ღირებულების საკითხებს.

კანონი არ ვრცელდება იმ ელექტროსადგურებზე, რომელთა თუნდაც 25 პროცენტზე მეტის მფლობელია სახელმწიფო ან რომელიმე ფედერაციული ერთეული.

ელექტროენერჯის შესყიდვისა და გადაცემის ვალდებულება. გაერთიანებული ენერჯოსისტემის ოპერატორები ვალდებული არიან განახლებადი ენერჯორესურსებიდან მიღებული ელექტროენერჯია დააკავშირონ სისტემასთან და უზრუნველყონ მსგავსი გენერაციის სისტემიდან მიღებული ენერჯის შესყიდვა და გადაცემა. ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ გენერაციის იმ ოპერატორზე, რომელიც სათანადო წესით დაარეგისტრირებს ენერჯოსადგურს. გენერაციისა და გაერთიანებული ენერჯოსისტემის ოპერატორები შესაძლოა შეთანხმდნენ უპირატესი შესყიდვის წესიდან გადახვევის შესახებ, თუ ეს ხელს შეუწყობს გაერთიანებულ ენერჯოსისტემაში ენერჯოსადგურის უკეთესად ინტეგრაციას.

ელექტროენერჯის უპირატესი შესყიდვისა და გადაცემის ვალდებულების მოთხოვნა ვრცელდება გაერთიანებული ენერჯოსისტემის ყველა იმ ოპერატორზე, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს ელექტროსადგურთან და ფლობს ტექნიკურად გამართულ სისტემას ელექტროენერჯის მისაღებად, თუკი არ არსებობს ტექნიკურად და ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი სხვა ოპერატორი.

გაერთიანებულ ენერჯოსისტემასთან დაკავშირების ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც გაერთიანებული ენერჯოსისტემის ოპერატორს ან ოპერატორის მომსახურების ზონას შეუმცირდება განახლებადი ენერჯორესურსიდან ელექტროენერჯის მიღება; და მაშინაც როდესაც გაერთიანებული ენერჯოსისტემის გადატვირთვის დროს ენერჯოსადგურს არ გააჩნია ენერჯის მიწოდების შემცირების ტექნიკური შესაძლებლობა.

ელექტროენერჯის ღირებულების გადახდის ვალდებულება. გაერთიანებული ენერჯოსისტემის ოპერატორები, რომლებიც ექსკლუზიურად იყენებენ განახლებად ენერჯორესურსებს და ყიდულობენ ამ ენერჯის, იხდიან საფასურს. თუმცა ეს ვალდებულება გამოიყენება მხოლოდ იმ ენერჯოსადგურების მიმართ, რომლებიც გამოიმუშავენ 500 კილოვატზე მეტ ენერჯას.

ჰიდროენერჯიდან მიღებული ელექტროენერჯის ღირებულების საფასური. გამოიმუშავებული ელექტროენერჯის საფასური განსხვავებულია იმის და მიხედვით, თუ კონკრეტულად განახლებადი ელექტროენერჯის რომელი წყაროდან ხდება ელექტროენერჯის გამოიმუშავება. იქნება ეს ჰიდროენერჯია, ორგანული გაზის ნარჩენები, ბიომასა, გეოთერმული ენერჯია, ქარის ენერჯია თუ მზის ენერჯია. ღირებულება ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული ენერჯოსადგურის სიმძლავრეზე. მაღალი სიმძლავრის მქონე ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ერთი კილოვატსაათი ენერჯის ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე შედარებით დაბალი სიმძლავრის ენერჯოსადგურის მიერ გამოიმუშავებული ერთი კილოვატსაათი ენერჯის ღირებულება.

ელექტროენერჯის შესყიდვა, გადაცემა და ღირებულების გადახდა. კანონის შესაბამისად, განსაზღვრული ელექტროენერჯის ღირებულება ოპერატორების მიერ გადაიხდება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლიდან 20 წლის განმავლობაში. 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროენერჯოსადგურების მიერ წარმოებულ ენერჯიაზე გადაიხდება 30 წლის განმავლობაში, ხოლო 5-დან 150 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროენერჯოსადგურების მიერ წარმოებულ ენერჯიაზე 15 წლის განმავლობაში.

ენერჯის ღირებულების გადახდის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, თუ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, ენერგოსადგურის ოპერატორს შეუძლია შეიტანოს სარჩელი გაერთიანებული ენერგოსისტემის ოპერატორის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, ენერგოსადგურის ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო, რომლის იურისდიქციაშიცაა მოცემული საქმე, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და საქმეზე თავისი შეხედულების შესაბამისად, უფლებამოსილია სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დებიტორს (მოვალეს) დააკისროს სისტემის ენერგოსადგურთან დაკავშირების ვალდებულება, შეისყიდოს მისაგან წარმოებული ენერჯია და მოახდინოს წინასწარი გადახდა სასამართლოს მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განახლებადი ენერგორესურსებიდან მიღებული ენერჯია არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით.

გენერაციის ხარჯები. ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია გაერთიანებულ ენერგოსისტემასთან განახლებადი ენერგორესურსებიდან ელექტროენერჯის მწარმოებელი ენერგოსადგურის დასაკავშირებლად, ასევე ხარჯები, რომელიც უკავშირდება მიღებული და გადაცემული ელექტროენერჯის რაოდენობის გასაზომად საჭირო მოწყობილობების დამონტაჟებას გადახდილი უნდა იყოს ენერგოსადგურის ოპერატორის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამდენიმე ენერგოსადგური 30 კილოვატამდე ჯამური სიმძლავრით, რომელიც მდებარეობს ენერგოსისტემასთან დაკავშირებული ტერიტორიაზე, დამაკავშირებლად ითვლება მათთვის ყველაზე ხელსაყრელი წერტილი.

ეროვნული გამოთანაბრების სქემა. გადაცემის სისტემის ოპერატორებმა უნდა განახორციელონ წარმოებული ენერჯის მოცულობისა და ამ ენერჯის ღირებულების გადახდის აღრიცხვა და დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ ერთმანეთს შორის განსხვავების წინასწარი აღმოფხვრა.

ყოველი წლის 30 სექტემბერს, გადაცემის სისტემის ოპერატორებმა უნდა მოახდინონ უკანასკნელი კალენდარული წლის განმავლობაში მათ მიერ შეძენილი ენერჯისა და მისი ღირებულების პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრა საბოლოო მომხმარებელამდე მისული მთლიანი ენერჯის რაოდენობასთან მიმართებაში. თუ გადაცემის სისტემის ოპერატორების მიერ შეძენილი ენერჯის რაოდენობა აღმოჩნდება საშუალო წილზე მეტი, მაშინ ისინი უფლებამოსილი გახდებიან ენერჯია გაყიდონ და გადაცემის სისტემის სხვა ოპერატორებისაგან მიიღონ ამ ენერჯის ღირებულება. თავის მხრივ, სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებიც ელექტროენერჯიას აწვდიან საბოლოო

მომხმარებელს, ყიდულობენ ენერჯის იმ ნაწილს, რომელიც შეისყიდა გადაცემის სისტემის ოპერატორმა, თუმცა ამავდროულად თითოეული სადისტრიბუციო კომპანია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამგვარი ენერჯის თანაბარი წილით. საგაღმართლო შესასყიდი ენერჯის რაოდენობა თითოეული ასეთი კომპანიისათვის გამოითვლება პროპორციულად საბოლოო მომხმარებელამდე მისული ენერჯის მთლიანი რაოდენობიდან.

ამავდროულად, გარემოს, ბუნების დაცვისა და ატომური უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო, ეკონომიკისა და შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით გამოსცემს ბრძანებულებას განახლებადი ენერჯო წყაროებიდან ქვეყნის მასშტაბით გამოიშვებელი ელექტროენერჯის გათანაბრების სქემაზე ზედამხედველობის განახორციელების მიზნით.

გამჭირვალობა და საჯაროობა. გაერთიანებული ენერჯოსისტემის ოპერატორები და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე მათ მიერ ჩამოყალიბებული ნებისმიერი კავშირი, უფლებამოსილია გადასცეს ინფორმაცია ნებისმიერ მესამე მხარეს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გადახდილ ღირებულებასა და საშუალო შესყიდვის ხარჯებს შორის განსხვავების შესახებ (გათანაბრების სქემა), სადაც ისინი ამ ინფორმაციას წარმოადგენენ ოფიციალურად დამოწმებული ანგარიშის სახით. ეს ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ.

გაერთიანებული ენერჯოსისტემის ოპერატორი გათანაბრებული ენერჯისა რაოდენობისა და ღირებულების გადახდის განსაზღვრის მიზნით, მონაცემებს აქვეყნებს ყოველი მომდევნო წლის 30 სექტემბრისათვის. მონაცემები მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, ოპერატორმა შესყიდული ენერჯია მიაწოდა პირდაპირ საბოლოო მომხმარებელს, სხვა ოპერატორს, სადისტრიბუციო კომპანიას თუ თვითონ გამოიყენა.

ანგარიშის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია გარემოს, ბუნების დაცვისა და ატომური უსაფრთხოების სამინისტროს ბრძანებულებით მომხმარებელთა დაცვის, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ასევე ეკონომიკისა და შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით.

გამჭირვალობის გაზრდისა და გათანაბრების მექანიზმის გამარტივების მიზნით, სამინისტროს ბრძანებულების შესაბამისად არსებობს საჯარო რეესტრი, რომელიც ახდენს ყველა მონაწილის დარეგისტრირებას, რომელიც ჩართულია განახლებადი ენერჯორესურსებიდან ელექტროენერჯის გენერაცია, გადაცემასა და დისტრიბუციაში.

მრავალჯერადი გაყიდვის აკრძალვა. ელექტროენერგია, რომელიც იწარმოება განახლებადი ენერგორესურსებიდან დასაშვებია გაყიდოს ან სხვაგვარად გადაიცეს არაუმეტეს ერთხელ.

დიდი ბრიტანეთი

უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდ ბრიტანეთში მეტად აქტუალური გახდა ენერგო საკითხებზე მსჯელობა. 2006 წელს ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში სახელმწიფო მდივნის ალისტერ დარლინგის მიერ თემთა პალატის წინაშე გაკეთებულ მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ დიდი ბრიტანეთი ორი მეტად მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. პირველი ეს არის კლიმატური ცვლილებები, რომელიც მოითხოვს მანვე გამონაბოლქვების მიერ გამოწვეული ზიანის შემცირებას და მეორე, მისაღებ და გონივრულ ფასებში უსაფრთხო და სუფთა ენერგომარაგის გამოძევაების აუცილებლობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ხდება ჩრდილოეთის ზღვის მარაგის შემცირება, დიდი ბრიტანეთი სულ უფრო და უფრო მეტად ხდება დამოკიდებული იმპორტირებულ გაზზე და ნავთობზე. სწორედ ამიტომ, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მათი ხედვა მომდევნო 30-40 წლის განმავლობაში ენერგო მომარაგების შესახებ.

დარლინგის განცხადებით, ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება ისეთი უსაფრთხო ენერჯის გამოძევა, რომელიც გამოჰყოფს მაქსიმალურად მცირე რაოდენობის კარბონს (ნახშირბადის წვისგან წარმოშობილი ნაერთები). ამ კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება განახლებად ენერგორესურსებს. როგორც დარლინგი აღნიშნავს, მართალია დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელი ენერგომარაგის მეხუთედს ატომური ელექტროსადგურიდან მიღებული ენერგია წარმოადგენს, მაგრამ განახლებადი ენერგორესურსების უფრო ფართო გამოყენების შემთხვევაში 2020 წლისათვის ეს მაჩვენებელი 6 პროცენტამდე შემცირდება. მთავრობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ელექტრო ენერჯის წარმოების პროცესში ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს კარბონის (ნახშირბადის წვისგან წარმოშობილი ნაერთები) გამოყოფით გარემოს დაბინძურებას, რისთვისაც აუცილებლად უნდა მოხდეს განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების მიზნით თანხების ინვესტირება.

მოსხენებაში ატომური ენერჯია მიჩნეულია, როგორც ყველაზე მცირე რაოდენობის კარბონის შემცველ და აქიდან გამომდინარე, ყველაზე უსაფრთხო ენერგოწყაროდ. ამიტომ, სახელმწიფო მდივნის მიმოხილვაში მითითებულია, რომ საჭიროა ფართომასშტაბიანი ენერგოპროექტების განხორციელება ახალი ატომური ენერგოსადგურის აშენების მიზნით, რაც თავისთავად საკანონმდებლო რეფორმების გატარებასაც მოითხოვს.

ახალი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ მთავრობის მიერ წარმოდგენილ ინიციატივას, ბრიტანეთის მწვანეთა მოძრაობის მხრიდან მეტად მკვეთრი რეაქცია მოჰყვა, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ საკითხი მოითხოვს დამატებით კონსულტაციებს. მათივე მოთხოვნით საკითხი განსახილველად გადაეცა სასამართლოს. სასამართლო დაეთანხმა მწვანეთა მოძრაობის ამ მოსაზრებას. შედეგად, სახელმწიფო მინისტრის მიერ გაკეთდა ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ მთავრობა არ გაასაჩირვებს სასამართლოს გადაწყვეტილებას და ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ წარმოდგენილი იქნება დამატებითი ანალიზი, რის შესახებაც ეცნობება როგორც თემთა პალატას, ასევე საზოგადოებას.

ყველაფერ ამის ფონზე, ბუნებრივია, რომ სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ენერგორესურსების ათვისებას და განვითარებას, როგორცაა ქარის ენერჯია, ტალღების და ზღვის მიქცევა-მოქცევის ენერჯია და სხვა.

დიდ ბრიტანეთში განახლებადი რესურსების განვითარების მთავარ გარანტიას ქმნის ეგრედ წოდებული განახლებადი ენერგომიწოდების ვალდებულება, რომელიც ბაზარზე დაფუძნებული მექანიზმია და განსაზღვრავს, რომ ენერგო მომწოდებლებმა უნდა გაზარდონ განახლებადი ენერგორესურსებიდან გამომუშავებული ენერჯიის მოცულობა.

მოსხენება ასევე აყალიბებს დიდ ბრიტანეთში წარმოებული განახლებადი ენერჯიის წარმოების ხუთმაგად ზრდის გეგმას. ენერჯიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებული იქნება ქარის სადგურებიდან და ზღვის ენერჯიის წყაროდან. ამისათვის კი საჭიროა ზღვის ენერჯიის წყაროს სანაპირო ქსელთან დაკავშირება. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულის განხორციელება ძალზედ დიდ დანახარჯებს მოითხოვს, ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტი მარეგულირებელთან (OFGEM - ელექტროენერჯიისა და გაზის ბაზრის სამსახური) ერთად ცდილობს დაამკვიდროს რეგულირების სისტემა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს განახლებადი ენერჯიის მწარმოებელისა და მომხმარებლის ხარჯების შემცირებას.

2005 წლის ივლისში ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტისა და მარეგულირებლის მიერ გამოქვეყნდა წინასწარი კონსულტაციების შედეგები. 2006 წლის მარტში კი გამოქვეყნდა ხელისუფლების პასუხი რეგულირების მეთოდებზე, რომელიც უკავშირდება განახლებადი ენერჯის გადაცემის დანერგვას და რეგულირდება 2004 წლის კანონით „ენერჯის შესახებ.“ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამრეწველო კოდექსის და სტანდარტების და ლიცენზირების სისტემის შესაბამისად შემოღებული იქნება ფასების კონტროლის რეჟიმი. რაც ნიშნავს იმას, რომ ლიცენზირებული მონოპოლიები (დიდი ბრიტანეთის სისტემის ოპერატორები) დაექვემდებარებიან მარეგულირებლის მიერ განხორციელებულ ფასების კონტროლის რეჟიმს.

გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერჯის ქსელის მოქნილობა წარმოადგენს ენერგომომარაგების საიმედოობის ძირითად გარანტიას, სადისტრიბუციო ქსელის ოპერატორებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაევალებათ არსებული მიწისზედა ხაზების შეცვლის ან გაუმჯობესების წინადადებების მომზადება, რათა ურთიერთკოორდინაციის გზით ხელისუფლებამ მოახდინოს ენერგომომარაგების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გარკვეული სამუშაოების ჩატარება.

გამოყენებული წყაროები

1. ევროკომისიის მოხსენება “განახლებადი ენერგოწყაროებიდან გამოშუშავებული ელექტროენერჯის ხელშეწყობა”, ბრიუსელი, 7.12.2005, COM (2005), 527 final;
2. გერმანიის ფედერალური კანონი “განახლებადი ენერგოწყაროების აქტი”;
3. დიდი ბრიტანეთის თემთა პალატეს მოხსენება ენერგო პოლიტიკაზე, SN/SC/04166, 2007 წლის 10 აპრილი